საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს

გადაწყვეტილება №57

20|9წ. "05" 03

ქ.თბილისი

შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ქართული მევენახეობა-მეღვინეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ

დაწესებულების მიერ თვითშეფასების ანგარიშში ასახული ინფორმაციის, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, ,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 22-ე მუხლის მე-3^1 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, 27^5 მუხლის მე-7 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ქართული მევენახეობა-მეღვინეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.
2. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2019 წლის 26 იანვრიდან.
3. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2019 წლის 5 მარტის №15 სხდომის ოქმის მეოთხე ნაწილი და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილებად.
4. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება კანონით დადგენილი წესით შესაძლებელია მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ.№1 ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

თავმჯდომარე
ქეთევან ქოქრაშვილი

მდივანი
ნინო ლიპარტია